სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერება

თამარ უძილაური

დემოკრატიის მომავალი: თანამედროვე პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობის გავლენის შეფასება (საქართველოს მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირაკლი ჩხაიძე
თსუ კულტურის კვლევების ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2025

ანოტაცია

კითხვაზე პასუხი, თუ „როგორ გავლენას ახდენს ახალგაზრდების ჩართულობა თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში დემოკრატიული სისტემების სტაბილურობასა და ევოლუციაზე და რა როლს თამაშობს ეს ჩართულობა დემოკრატიული მმართველობის მომავლის ჩამოყალიბებაში?“ მნიშვნელოვანია როგორც მიმდინარე დემოკრატიული ტენდენციების, ასევე მმართველობის მომავლის გასაგებად. მოცემული კვლევა ასახავს პოლიტიკურ მეცნიერებაში გადაუდებელ საკითხს: დემოკრატიის მდგრადობას და ადაპტირებას თაობათა ცვლილების პირობებში. საქართველოს მაგალითზე საუბრისას, უნდა გამოიკვეთოს ჩვენი გაცხადებული კურსი ევროკავშირისაკენ. ამ უკანასკნელთან ინტეგრაცია დემოკრატიისა და მისი ატრიბუტების არა მხოლოდ არსებობას, არამედ უმაღლეს ხარისხსაც მოიაზრებს. ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა კი სწორედ ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართულობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბაკალვრო ნაშრომის მიზანია ახალგაზრდების ჩართულობის გავლენის გამოკვლევა თანამედროვეობაში დემოკრატიული სისტემების სტაბილურობაზე, ადაპტირებაზე და სამომავლო ტრაექტორიაზე.

მოცემული კვლევა ეყრდნობა შერეული მეთოდების მიდგომას, ტრეანგულაციას, რაც გულისხმობს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას. რაოდენობრივი კვლევის მეთოდის ფარგლებში, გამოკითხვების საფუძველზე ვიგებთ ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობის დონეს, ხოლო თვისებრივი კვლევის მეთოდების დახმარებით ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, უფრო ღრმად იქნა გაგებული ის გამოწვევები, რომლებსაც ახალგაზრდები აწყდებიან პოლიტიკურ სისტემაში ჩართვაში.

სარჩევი

შესავალი 4

თავი.1 პოლიტიკურ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა: ადგილობრივი და გლობალური ტენდენციები 9

1.1 ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობის ფორმები და მათი გავლენა დემოკრატიულ პროცესებზე 11

1.2 ახალგაზრდული მოძრაობები, ციფრული აქტივიზმი და მათი გავლენა დემოკრატიულ ინსტიტუტებზე 12

1.3. პოლიტიკური სისტემის რეაგირება ახალგაზრდების მოთხოვნებზე და მონაწილეობის ახალ ფორმებზე 14

1.4. ახალგაზრდების ჩართულობა და დემოკრატიული მმართველობის ლეგიტიმურობა 15

თავი.2 კვლევის ანალიზი 17

თავი.3 ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების პერსპექტივები საქართველოში 25

3.1 . ძირითადი მიგნებები და მათი პოლიტიკური მნიშვნელობა 25

3.2 ინსტიტუციური აქტორების როლი ახალგაზრდულ ჩართულობაში 26

3.3 საერთაშორისო გამოცდილება: რას ვსწავლობთ სხვა ქვეყნებისგან? 27

3.4 სტრატეგიები ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის გასაძლიერებლად 28

3.5 ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის გავლენა საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე 31

დასკვნა 33

ბიბლიოგრაფია 35

შესავალი

ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკაში სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ბოლო წლებში, რაც ,უმეტეს შემთხვევაში, გამოწვეულია ციფრული პლატფორმებითა და სოციალური მოძრაობებით. ახალგაზრდობა დღეს სხვაგვარად მონაწილეობს პოლიტიკაში, ვიდრე წინა თაობები. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული პოლიტიკური ჩართულობა (მაგ. ხმის მიცემა და პარტიის წევრობა) რჩება აქტუალური, ახალგაზრდა თაობები ასევე ქმნიან ახალ არხებს თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვისთვის, როგორიცაა სოციალური მედიის აქტივიზმი, ონლაინ პეტიციები და დეცენტრალიზებული პროტესტი. ამასთან ერთად, უკანასკნელ წლებში, საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე, ახალგაზრდული მოძრაობები არა მხოლოდ გამრავლდნენ, არამედ უდიდესი აქტიურობით შემოვიდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე და გაამტკიცეს საკუთარი როლი. ეს მრავალ გამომწვევ ფაქტორს შეიძლება მივაკუთვნოთ, თუმცაღა ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ მაინც ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება იყო. ხაზგასასმელია ისიც, რომ დემოკრატიული საზოგადოების მთავარი მოქმედი მექანიზმები სწორედ იმ სურვილების აღძვრაში მდგომარეობს, რომელიც ხალხს, განსაკუთრებით მომავალ თაობას ეხმარება მეტი მონდომებით იყვნენ ჩართულნი პოლიტიკურ და დემოკრატიულ პროცესებში.

უფრო მეტიც, ახალგაზრდების ჩართულობის გავლენის გაგება დემოკრატიაზე ნიშნავს როგორც დადებითი, ასევე პოტენციურად დამღუპველი ეფექტების შესწავლას. ახალგაზრდული მოძრაობები ხშირად უბიძგებს სოციალური სამართლიანობის, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისა და პოლიტიკური გამჭვირვალობისკენ. თუმცა, მათმა არატრადიციულმა მეთოდებმა და ჩამოყალიბებული ინსტიტუტების კრიტიკამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს პოლიტიკურ პოლარიზაციას ან არასტაბილურობას, რაც ეჭვქვეშ აყენებს დემოკრატიული ნორმების ადაპტირებას.

ჩართულობის ეს ფორმები ბადებს რამდენიმე კითხვას: მზად არიან თუ არა ამჟამინდელი დემოკრატიული სტრუქტურები ასეთი არატრადიციული პოლიტიკური მონაწილეობის მისაღებად, არის თუ არა რისკი, რომ მათ შეუმჩნეველი დარჩეთ ან

არასწორად გაიგონ ეს? თუ ტრადიციული მექანიზმები, როგორიცაა ხმის მიცემა, არ განვითარდება ახალგაზრდების პრიორიტეტებისა და ჩართულობის ახალ ფორმებზე, დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა შეიძლება დაკარგონ ლეგიტიმაცია ახალგაზრდა მოქალაქეებთან.

ამრიგად, დემოკრატიაზე ახალგაზრდების ჩართულობის გავლენის საკითხი სცილდება მონაწილეობის მაჩვენებლების გაზომვას. ის გულისხმობს იმის გაგებას, თუ როგორ რეაგირებენ დემოკრატიები ახალგაზრდებზე ორიენტირებულ ცვლილებებზე, როგორ შეიძლება საჭირო გახდეს მათი ადაპტაცია, რომ დარჩეს აქტუალური და აძლიერებს თუ ასუსტებს ეს პასუხები დემოკრატიულ მმართველობას.

პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია პოლიტიკურ მეცნიერებაში, რადგან ის ეხება ფუნდამენტურ დებატებს დემოკრატიული ლეგიტიმაციის, წარმომადგენლობისა და ინსტიტუციური ადაპტაციის შესახებ. პოლიტიკის მეცნიერება ცდილობს გაიგოს სტრუქტურები, ქცევები და დინამიკა, რომელიც აყალიბებს მმართველობას და ახალგაზრდების ჩართულობა უნიკალურ ობიექტს იძლევა ამ საკითხების შესასწავლად.

მოცემული საკითხი აქტუალურობის დონეს თითქმის ყოველთვის ინარჩუნებდა საქართველოში, თუმცა, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვეობაში მისმა ხარისხმა, მეტ-ნაკლებად, აიწია. ქვეყნის დემოკრატიული მომავლისათვის ბრძოლაში, რაც ბოლო რამდენიმე წელია აქტიურ ფაზაშია გადასული, ახალგაზრდები სულ უფრო მეტად გამოთქვამენ სურვილს, რომ არა მხოლოდ ჩაერთონ მასში, არამედ სურვილი და წადილი ბოლომდე მიიყვანონ. ქართული რეალობა კი 2023 წლიდან თავს ავლენს პარლამენტის სურვილში, მიეღოთ კანონი, „რომელიც მტრულ ძალად გამოაცხადებდა დასავლური ქვეყნებიდან დაფინანსებულ სამოქალაქო ორგანიზაციებსა და დამოუკიდებელ მედიას“ (აი ფაქტი, 2024)

ამასთანავე, პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობის საკითხი ძალზე აქტუალურია პრაქტიკაში, დემოკრატიული სისტემების ფუნქციონირებასა და ევოლუციაზე მისი ღრმა ზეგავლენის გამო. მთელს მსოფლიოში ახალგაზრდა თაობები ჩნდებიან, როგორც გავლენიანი პოლიტიკური აქტორები, რომლებიც აყალიბებენ საჯარო დისკურსს და განაპირობებენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებს.

თემის აქტუალურობის დასამტკიცებლად, ვფიქრობ საჭიროა აღინიშნოს, რომ მის ირგვლივ არსებობს სტატიები, რომლებიც სხვდასხვა წლებშია გამოქვეყნებული, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ საკითხი მაინც საჭიროებს სიღრმისეულ ანალიზს. სწორედ ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს კვლევა, რომელიც ყურადღებას, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში ახალგაზრდული მოძრაობების გააქტიურებაზე ამახვილებს და აღნიშნავს, რომ იმ დროს განვითარებული მოვლენები ეჭვქვეშ აყენებს სტერეოტიპს, თითქოს პოლიტიკა ახალგაზრდების საქმე არ არის (მელიქიძე, 2012). ამასთანავე ვხვდებით კიდევ ერთ კვლევას, რომელიც მიუთითებს სისტემურ დაბრკოლებაზე, რომელიც ხელს უშლის ახალგაზრდების აქტიურ პოლიტიკურ მონაწილეობას (ხუროშვილი, 2020). მოცემული სტატიების ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად არსებული კვლევებისა, ახალგაზრდების პოლიტიკურ ჩართულობასა და დემოკრატიის განვითარებაში მათ როლზე საქართველოში ჯერ კიდევ მრავალი კითხვის ნიშანი რჩება. შესაბამისად, ჩემი ნაშრომი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამ საკითხის სიღრმისეულად გაანალიზებაში და არსებული სიცარიელის შევსებაში.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, **კვლევის მიზანია** ახალგაზრდების ჩართულობის გავლენის გამოკვლევა თანამედროვეობაში დემოკრატიული სისტემების სტაბილურობაზე, ადაპტირებაზე და სამომავლო ტრაექტორიაზე.

ხოლო კვლევის მიზნის მიხედვით, **კლევის ამოცანები** შემდეგნაირად განისაზღვრა:

- პოლიტიკური ჩართულობის იმ ფორმების შესწავლა, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებენ ახალგაზრდები დღეს და როგორ განსხვავდება ისინი მონაწილეობის ტრადიციული ფორმებისგან.
- ახალგაზრდების მიერ მართული მოძრაობებისა და ციფრული აქტივიზმის ეფექტის გააზრება დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და პროცესებზე.
- შეფასდეს, წარმატებით ეგუება თუ არა დემოკრატიული სისტემები ახალგაზრდების მოთხოვნებსა და მონაწილეობის ფორმებს.

კვლევის ობიექტებად, ვფიქრობ, რაციონალურად ვკონცენტრირდი აბიტურიენტებსა და სტუდენტებზე, როგორც პოტენციურ და მიმდინარე

ამომრჩევლებზე, და ამასთანავე პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთის წევრებზე, როგორც აქტიურ პოლიტიკურ ახალგაზრდობაზე.

საკვლევი კითხვები შემდეგნაირად განისაზღვრა:

•რა არის პოლიტიკური ჩართულობის ძირითადი ფორმები, რომლებსაც დღეს ახალგაზრდობა იყენებს და როგორ აპროტესტებს ან ავსებს ეს ფორმები დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის ტრადიციულ მეთოდებს?

•როგორ ახდენს გავლენას ახალგაზრდების ხელმძღვანელობით მოქმედი მოძრაობები და ციფრული აქტივიზმი დემოკრატიული ინსტიტუტების რეაგირებასა და ადაპტირებაზე თანამედროვე პოლიტიკურ საკითხებთან?

•რა გავლენას ახდენს ახალგაზრდების გაზრდილი ჩართულობა დემოკრატიული მმართველობის ლეგიტიმურობასა და წარმომადგენლობაზე და რა არის პოტენციური გრძელვადიანი შედეგები დემოკრატიის მომავალზე?

საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე კი განისაზღვრა **ჰიპოთეზა:**

ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში, განსაკუთრებით სოციალური მედიისა და ადვოკატირების კამპანიების საშუალებით, განაპირობებს მნიშვნელოვან ცვლილებებს საქართველოში საჯარო პოლიტიკის პრიორიტეტებში, რაც იწვევს უფრო საპასუხისმგებლო და წარმომადგენლობით დემოკრატიულ მმართველობას.

საყრდენი თეორია:

პოლიტიკური სოციალიზაციის თეორია:

პოლიტიკური სოციალიზაცია ეხება პროცესს, რომლითაც ინდივიდები იძენენ თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებს, ღირებულებებს და ქცევებს. ეს თეორია რელევანტურია მოცემული თემისთვის, რადგან ის შეისწავლის, თუ როგორ ავითარებენ ახალგაზრდები თავიანთ პოლიტიკურ იდენტობას და ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ პოლიტიკაში ჩართულობაზე. ოჯახის, თანატოლების, განათლებისა და

მედიის როლი პოლიტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში გვეხმარება ავხსნათ, თუ როგორ მონაწილეობენ ახალგაზრდები დემოკრატიულ პროცესებში.

თეორიული ჩარჩო

ნაშრომში თეორიულ ჩარჩოდ ვიყენებ ტ.მ. სლომისა და კ.ე. ბენეტი და დ. სეგერბერგის თეორიულ კონცეფციებს, რომლესაც ისინი საკუთარ ნაშრომებში ავითარებენ. სლომი თავის ნაშრომში "ახალგაზრდობა და პოლიტიკური მონაწილეობა: ანალიზი მიმდინარე ტენდენციებისა და დემოკრატიაზე გავლენის შესახებ" იკვლევს ახალგაზრდებში ტრადიციული პოლიტიკური მონაწილეობის კლების მაჩვენებელს, ხოლო ხაზს უსვამს ჩართულობის ალტერნატიული ფორმების ზრდას, როგორიცაა ონლაინ აქტივიზმი და არაფორმალური ქსელები. ავტორი ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები ნაკლებად ერთვებიან ტრადიციულ არჩევნებში, ისინი აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკური დისკურსის ფორმირებაში სოციალური მედიისა და სახალხო მოძრაობების მეშვეობით (sloam, J, 2014). ბენეტი და სეგერბერგი კი ნაშრომში „ახალგაზრდობის როლი პოლიტიკურ ცვლილებებში: სოციალური მოძრაობები და აქტივიზმი ციფრულ ეპოქაში“ იკვლევენ ახალგაზრდული აქტივიზმისა და ციფრული ტექნოლოგიების კვეთას და ამტკიცებენ, რომ ინტერნეტმა შეცვალა ახალგაზრდების მობილიზება და ჩართულობა პოლიტიკურ საკითხებში. მათი ანალიზი სხვადასხვა სოციალური მოძრაობების შესახებ, როგორიცაა არაბული გაზაფხული და Occupy Wall Street, გვიჩვენებს, თუ როგორ უწყობს ხელს ციფრული პლატფორმები კოლექტიურ მოქმედებას და აძლიერებს ახალგაზრდების ხმას (Bennett, W.L & Segerberg, A., 2013). ავტორები ამტკიცებენ, რომ ეს ცვლილება არა მხოლოდ აძლიერებს პოლიტიკურ მონაწილეობას, არამედ გამოწვევის წინაშე აყენებს დამკვიდრებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს, რათა მოერგოს ჩართულობის ცვალებად დინამიკას. ეს ნაშრომი ხაზს უსვამს ციფრული აქტივიზმის გავლენას დემოკრატიულ პროცესებზე და ინსტიტუციების განვითარების აუცილებლობაზე ახალგაზრდების მიერ მართული მოძრაობების საპასუხოდ.

კვლევის მეთოდის დასახელება:

შერეული მეთოდების მიდგომა ამ კვლევისათვის იძლევა შესაძლებლობას, რომ თემის ანალიზი იყოს არა მხოლოდ რაოდენობრივად სანდო, არამედ ღრმად და კონტექსტურად გააზრებული.

რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავს სტრუქტურირებული ან ონლაინ კითხვარების გამოყენებას, რომლითაც გამოიკითხება მინიმუმ **100-120 ახალგაზრდა** რესპონდენტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, 17-დან 30 წლამდე ასაკის. გამოკითხვა მიზნად ისახავს ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობის დონის, მონაწილეობის სასურველი ფორმების (მაგალითად: არჩევნებში მონაწილეობა, პეტიციებზე ხელმოწერა, დემონსტრაციებში მონაწილეობა) და მათი დამოკიდებულებების შეფასებას დემოკრატიის პრინციპების — მათ შორის ლეგიტიმურობისა და პასუხისმგებლობის — მიმართ.

თვისებრივი ნაწილი განისაზღვრება ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუებით, რომლებიც ჩატარდება **დაახლოებით 10–12 ახალგაზრდასთან**, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ ან სამოქალაქო აქტივობებში (მაგ. სტუდენტური მოძრაობები, პარტიების ახალგაზრდული ფრთა, ან სამოქალაქო ორგანიზაციები). ინტერვიუების მიზანია უკეთ აიხსნას მათი მოტივაცია, გამოცდილება, სისტემაში ჩართვის ბარიერები და პერსონალური ხედვები დემოკრატიასა და ჩართულობის შესაძლებლობებზე.

შერეული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდება რაოდენობრივი მონაცემების მხარდაჭერა ცოცხალი, რეალური გამოცდილებების მაგალითებით, რაც კვლევას გაუმჯობესებულ სიღრმესა და სანდოობას შემატებს.

თავი.1 პოლიტიკურ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა: ადგილობრივი და გლობალური ტენდენციები

ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკაში, განსაკუთრებით დემოკრატიული სისტემებისა და მმართველობის კონტექსტში, თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო

დიდ მნიშვნელობას იძენს. ბოლო ათწლეულებში, როგორც გლობალურად, ასევე საქართველოში, ნათლად აღინიშნება ახალი ფორმები, როგორებიცაა ციფრული აქტივიზმი, სოციალური მედიის გამოყენება და ახალი პოლიტიკური მოძრაობები, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება ტრადიციული პოლიტიკური ჩართულობის მეთოდებისგან (Freedom House, 2018). ახალგაზრდები აღარ ზრდიან ჩართულობას მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობის გზით, არამედ აქტიურად ერთვებიან პოლიტიკურ პროცესებში სხვადასხვა გზით, რომლებიც ხშირად არაბუნებრივად აღიქმება ტრადიციული პოლიტიკური სტრუქტურებისთვის.

დემოკრატიული პროცესის ეფექტიანი ფუნქციონირება მოითხოვს მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას. ახალგაზრდების ჩართულობა კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკური პროცესების ფორმირებაზე, რადგან ისინი ქმნიან ახალ სოციალურ და პოლიტიკურ ინიციატივებს, რომლებიც თანმხლები ცვლილებების, ინოვაციების და კრიტიკის როლს ასრულებენ არსებული ინსტიტუტების მიმართ (sloam, J, 2014). ამჟამად, ახალგაზრდები ხშირად ატარებენ პოლიტიკურ დისკურსს არა მხოლოდ ტრადიციულ არჩევნებში, არამედ ისინი ჩართულები არიან სოციალურ მოძრაობებში, რომლებიც ითხოვენ უკეთეს მომავალს, გენდერულ თანასწორობას, გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებას და პოლიტიკური გამჭვირვალობის გაზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები დიდხანს არ იყვნენ ფოკუსირებულნი პოლიტიკური პროცესების აქტიურ მონაწილეობაზე, ბოლო წლებში საქართველოში მათი ჩართულობა მაინც გაიზარდა. ახალგაზრდები ხანდახან მხოლოდ ხმის მიცემით ან პარტიების წევრობით არ მონაწილეობენ პოლიტიკაში, არამედ ბევრად უფრო აქტიურები არიან მოცემულ სფეროში სოციალური მედიისა და სხვადასხვა სახის კამპანიების მეშვეობით. მაგალითად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში შექმნილმა ახალგაზრდულმა მოძრაობებმა მნიშვნელოვნად შეცვალა საზოგადოების პოლიტიკური ნარატივი და ნათლად აჩვენა, რომ ახალგაზრდები პოლიტიკური პროცესების განუყოფელი ნაწილი არიან, რაც შესაბამისად წინააღმდეგობაში მოდის ხანგრძლივ მითთან და სტერეოტიპთან, თითქოს პოლიტიკა მხოლოდ უფროსებისთვის არის. მელიქიძე (მელიქიძე, 2012) აღნიშნავს, რომ

ახალგაზრდული მოძრაობები აჩვენებს, რომ ახალგაზრდა თაობას აქვს ძლიერი ხმა და იგი მზადაა მონაწილეობის მიღებისთვის.

თუმცა, ახალგაზრდა თაობების ჩართულობა ასევე სერიოზულ გამოწვევებს ქმნის. ახალგაზრდების მიერ წარმოქმნილმა ახალმა ფორმებმა, როგორიცაა ონლაინ აქტივიზმი და დეკონსტრუქტირებული პოლიტიკური მოძრაობები, შესაძლოა საფრთხე შეუქმნან ტრადიციულ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რადგან ისინი ხშირად აპროტესტებენ არსებულ სისტემას. ეს კი შეიძლება გახდეს პოლიტიკური პოლარიზაციის მომტანი (Bennett, W.L & Segerberg, A., 2013). ასეთ შემთხვევაში, ძველი პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებიც ბევრად უფრო უჭერენ მხარს ტრადიციული პარტიების და ორგანიზაციების გავლენას, შესაძლოა არ გამოხატავენ მზადყოფნას ამ ახალ ფორმებზე რეაგირებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მათი ლეგიტიმურობის დაკარგვას ახალგაზრდების თვალში.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს შემთხვევაში ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკაში გლობალურ ტენდენციებთან ერთად ლოკალურ კონტექსტშიც შესამჩნევია. განსაკუთრებით 2023 წლის მოვლენები, როდესაც ახალგაზრდული ჯგუფები აქტიურად ჩაერთნენ საპროტესტო აქციებში და გამოხატეს თავისი პოზიცია პარლამენტში მიღებული კანონპროექტის წინააღმდეგ, ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობა დემოკრატიისთვის სერიოზული მუხტი გახდეს.

1.1 ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობის ფორმები და მათი გავლენა დემოკრატიულ პროცესებზე

დღესდღეობით, ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობის ფორმები მნიშვნელოვნად შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული მეთოდები, როგორიცაა არჩევნებში მონაწილეობა, კვლავ რჩება არსებითად, თანამედროვე თაობები სულ უფრო ხშირად იყენებენ ციფრულ არხებსა და სოციალური მედიის პლატფორმებს თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვისთვის. ასეთი ალტერნატიული მეთოდების გაზრდილი პოპულარობა მოწმობს იმას, რომ ახალგაზრდები ცდილობენ

ახალი გზებით გამოიყენონ საკუთარი ხმა, რაც ასევე მათ საშუალებას აძლევს, ჩაერთონ ისეთ საკითხებში, რომლებიც უფრო აქტუალური და შეზღუდულია ტრადიციული ფორმებით.

გარდა ამისა, სოციალური მედიის აქტივიზმი და ონლაინ კამპანიები, რომლებიც ძირითადად ახალგაზრდებში ფართოდაა გავრცელებული, ქმნის შესაძლებლობას, რომ მთელი საზოგადოება ერთიანად შემოუერთდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა და სამართლიანობა. ბენეტი და სეგერბერგი თავიანთ ნაშრომში აღნიშნავენ, რომ ციფრული პლატფორმების საშუალებით ახალგაზრდები უკეთ ახერხებენ კოლექტიურ მოქმედებას, რაც გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე (Bennett, W.L & Segerberg, A., 2013). თუმცა, ასეთი ახალი ფორმების განვითარება გამოწვევას წარმოადგენს ტრადიციული პოლიტიკური სტრუქტურებისთვის, რომლებიც სერიოზულად ებრძვიან დემოკრატიული ინსტიტუტების სისწრაფეს და საჭიროებებს. ამიტომ, დემოკრატიული პროცესების ეფექტურობა ამ დროს ბევრად უფრო დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოახერხებენ სახელმწიფოები და პარტიები ახალგაზრდების ჩართულობის ახალ ფორმებთან ადაპტაციას.

ამგვარად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ახალი ფორმები ახდენს ახალგაზრდა თაობების ჩართულობის გაზრდას, ეს ცვლილებები აუცილებლობას უქმნის პოლიტიკურ სისტემებს, რომ არ დარჩნენ მხოლოდ ტრადიციული გზების მიმდევრები, რადგან ამ ყოველივემ შეიძლება მათ მიმართ ახალგაზრდების მხრიდან ლეგიტიმურობის დაკარგვა გამოიწვიოს.

1.2 ახალგაზრდული მოძრაობები, ციფრული აქტივიზმი და მათი გავლენა დემოკრატიულ ინსტიტუტებზე

მოთხოვნა ახალგაზრდების მხრიდან პოლიტიკური ჩართულობის ახალ ფორმებზე, როგორიცაა ციფრული აქტივიზმი და სოციალური მედიის გამოყენება, დღევანდელი პოლიტიკური ლადშაპტის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. როდესაც ახალგაზრდები მონაწილეობენ სოციალური მედიის კამპანიებში ან ონლაინ

პეტიციებში, ისინი ხშირად მოქმედებენ დამოუკიდებლად, ახალი როლი ეძლევათ მათ პოლიტიკურ აქტივობას. ამგვარი აქტივიზმი ხშირად ნაკლებად დამოკიდებულია ტრადიციულ ინსტიტუციურ და პარტიულ სტრუქტურებზე, რაც ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებიც ვითარდება პოლიტიკურ პროცესებში.

ყოველივე ამის ფონზე, ციფრული აქტივიზმი წარმოადგენს ახალ გამოწვევას ტრადიციული დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის. ციფრული პლატფორმები, როგორიცაა Facebook, Twitter და Instagram, პოლიტიკურ მოძრაობებსა და პოლიტიკურ იდეებს სწრაფი გავრცელების საშუალებას აძლევს, რის შედეგადაც ვრცელდება ახალი ტიპის აქტივიზმი, რომელიც მეტად დეცენტრალიზებულია და ნაკლებად მოითხოვს მობილიზებას პარტიებისგან. მაგალითად, "არაბულ გაზაფხულს" და "Occupy Wall Street"-ის კამპანიებს განაპირობებს სოციალური მედიის გამოყენება, რაც მას აძლიერებს როგორც ფართო საზოგადოებაში, ისე ახალგაზრდების მობილიზაციის თვალსაზრისით (Bennett, W.L & Segerberg, A., 2013).

გარდა ამისა, ქართული რეალობის კონტექსტში, ციფრული აქტივიზმის მნიშვნელობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2010-იანი წლების ბოლოსა და 2020-იან წლებში, როდესაც ახალგაზრდებმა დაიწყეს აქტიური პოლიტიკურ ბრძოლა სოციუმში. მაგალითად, 2019 წელს საქართველოში, მრავალშრიანი პოლიტიკური კავშირების ფონზე, ახალგაზრდებმა გამოაქვეყნეს პეტიციები, რომლებიც მიმართული იყო შრომის უფლებების დაცვასა და ქვეყნის პოლიტიკური დემოკრატიის გამყარებაზე. საქართველოსთვის ასეთი ციფრული აქტივიზმი ემსახურება არა მხოლოდ პოლიტიკურ დაპირისპირებებს, არამედ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ მათივე ლეგიტიმაციის გაზრდას.

ამასთანავე, საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთ აქტივიზმს შეიძლება ჰქონდეს ორი სახის გავლენა: დადებითი, რაც გულისხმობს ახალგაზრდა თაობების გაზრდილ ჩართულობას და გააქტიურებას, და პოტენციურად უარყოფითი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დემოკრატიული პროცესების დეცენტრალიზაცია და ინსტიტუციური არასტაბილურობა. ამგვარმა სიტუაციებმა და მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს დემოკრატიის საფუძვლების, როგორც პოლიტიკურ ინსტიტუტებში, ასევე ზოგადად საზოგადოებაში, ჰარმონიასთან შესაბამისობის დარღვევა.

1.3. პოლიტიკური სისტემის რეაგირება ახალგაზრდების მოთხოვნებზე და მონაწილეობის ახალ ფორმებზე

ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში სულ უფრო მეტად ემსახურება არა მხოლოდ დემოკრატიული სისტემების გამყარებას, არამედ მათ ადაპტირებას თანამედროვე გამოწვევებთან. ციფრული აქტივიზმი და ახალი პოლიტიკური მოძრაობები, როგორიცაა „ახალგაზრდული პროტესტები“, "პარალელური აქტივიზმი" და სოციალური მედიის გამოყენება, აუცილებლობას უქმნის პოლიტიკურ სისტემებს, რომ არამხოლოდ უფრო ადაპტირდნენ, არამედ მყარად შეიმუშავონ მიდგომები, რომლებიც ემხრობა და აღიარებს ახალგაზრდების ახლებურ პოლიტიკურ მონაწილეობას.

პოლიტიკური სისტემები, როგორც ტრადიციული, ისე ახალი დემოკრატიები, ხშირად განიცდიან გამოწვევებს, როდესაც მათი ინსტიტუციები იძულებულნი არიან მიმართონ ადაპტაციას ახალგაზრდა თაობების ახალ მოთხოვნებსა და ჩართულობის ფორმებზე. რამდენიმე კვლევა აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ციფრული აქტივიზმი და სოციალურ მედიაში გამოხატული აქტიურობა ღირებული პლატფორმებია ახალგაზრდა თაობებისთვის, ამგვარი ჩართულობა შეიძლება გამოწვევას უქმნიდეს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულობას და მათი მმართველობის სტაბილურობას. მაგალითად, თუ ციფრული კამპანიები არ იქნება წარმატებული და სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ აღიარებული, შეიძლება იმოქმედოს პოლიტიკურ პოლარიზაციაზე, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ინსტიტუტების კრიზისს.

იმავდროულად, ახალ თაობას არა მხოლოდ გადააქვს საკუთარი პოლიტიკური ინიციატივები ვირტუალურ სამყაროში, არამედ ხშირად ცდილობს გავლენა მოახდინოს ტრადიციულ საპარლამენტო სისტემებზე. ამგვარმა სერიოზულმა პოლიტიკურმა ინტერაქციებმა, რომლებიც ჩართული ახალგაზრდული მოძრაობების მხრიდან

წარმოიშობა, შეიძლება გამოიწვიოს დემოკრატიული ინსტიტუტების არასწორი ან მდარე რეაგირება, რამაც შეიძლება შექმნას ბარიერები სისტემების ადაპტაციაში.

საინტერესოა ასევე იმის განხილვა, თუ როგორ მოითხოვს პოლიტიკური სისტემები მუდმივ ადაპტაციას, რათა იყოს ეფექტური და ხელმისაწვდომი მათთვის, ვინც ითხოვს მონაწილეობას. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში და ზოგადად ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, სადაც ახალგაზრდული აქტივიზმი გავრცელებულია, პოლიტიკური სისტემა ხშირად ხვდება საჭიროებას, რომ უფრო ეფექტური და რეაგირებადი გახდეს.

საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, ასეთი რეაგირების მაგალითი გვაქვს, როცა სახელმწიფო ინსტიტუტები ცდილობენ გააძლიერონ პოლიტიკური პროცესების დემოკრატიულობა, განსაკუთრებით არჩევნებში მონაწილეობის თვალსაზრისით. თუმცა, ქვეყნის დემოკრატიული სისტემის სრულყოფილი ადაპტაცია ახალგაზრდების მოთხოვნებზე კვლავ გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტრადიციული პარტიები და პოლიტიკური ძალები ჯერ კიდევ არ არიან სრულად მზად განახლებულ ფორმატთან კოორდინირებისთვის.

1.4. ახალგაზრდების ჩართულობა და დემოკრატიული მმართველობის ლეგიტიმურობა

ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს დემოკრატიის ლეგიტიმურობისა და სტაბილურობისთვის. როგორც აღნიშნულია სხვა კვლევებში, პოლიტიკური სისტემები, რომლებიც არ ახდენენ რეაგირებას თანამედროვე თაობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებზე, ვერ უზრუნველყოფენ მათ სრულფასოვან წარმომადგენლობას და, შესაბამისად, რისკს წარმოადგენენ დემოკრატიული მმართველობის ლეგიტიმურობის დაკარგვის საკითხში. ახალგაზრდების მაღალი ჩართულობა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არატრადიციული ფორმებით ხორციელდება, ერთ-ერთ ძირითადი ფაქტორია,

რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე დემოკრატიის ხარისხსა და საზოგადოებრივი მხარდაჭერის დონეს.

ლეგიტიმურობა, როგორც პოლიტიკური სისტემის მთავარი კომპონენტი, პირდაპირ უკავშირდება მოქალაქეების მიერ იმ პროცესების აღქმას, რომლებიც განსაზღვრავენ მათ ცხოვრებას. ახალგაზრდების ჩართულობა არა მხოლოდ საზოგადოებრივ აზრს ქმნის, არამედ უზრუნველყოფს სისტემის სიცოცხლისუნარიანობას რადგან ის ამახვილებს ყურადღებას ახალი იდეების, ღირებულებებისა და გამოწვევებისკენ. მაგალითად, ახალგაზრდული მოძრაობები, რომლებიც მოითხოვენ უფრო მეტ გამჭვირვალობას, უფრო მაღალი პასუხისმგებლობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას პოლიტიკურ სისტემაში, ხშირად აძლიერებენ დემოკრატიულ პროცესებს და ინარჩუნებენ მათ სანდოობას.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა თაობების ჩართულობა ხშირად დაკავშირებულია პოლიტიკურ პოლარიზაციასთან, რაც ქმნის საფრთხეს დემოკრატიული მმართველობისათვის. პოლიტიკური სისტემები, რომლებიც არ ახდენენ ადეკვატურ რეაგირებას ახალგაზრდების მოთხოვნებზე, შეიძლება აღმოჩნდნენ უპასუხოდ, რის შედეგადაც დემოკრატია იწყებს დაცემას, ხოლო მის გარემოცვაში პოლარიზაცია იზრდება.

კვლევების მიხედვით, როდესაც ახალგაზრდების მოთხოვნილებები და ინტერესები არ იღებს სათანადო გამოხმაურებას, სისტემა კარგავს ლეგიტიმურობას. ერთი მხრივ, როცა ახალგაზრდები ვერ ხედავენ საკუთარ როლს პოლიტიკურ პროცესებში, მათი უარყოფითი დამოკიდებულება სისტემის მიმართ შესაძლოა გაიზარდოს, ხოლო მეორე მხრივ, სისტემის ვერ ადაპტირებამ ახალ პოლიტიკურ გამოწვევებთან შეიძლება განაპირობოს მისი კონსერვატიული და არაპროგრესული ბუნება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პოლიტიკური სისტემა დაეხმაროს ახალგაზრდებს, როგორც კონსტიტუციურ წარმომადგენლებს, რათა მათ ცოცხალი ხმა და გავლენა ჰქონდეთ პოლიტიკურ პროცესებზე. თუ ეს პროცესი არ იქნა გააზრებული დროულად, შეიძლება უკუსვლა დაემუქროს თვით დემოკრატიულ ინსტიტუტებს.

თავი.2 კვლევის ანალიზი

მოცემული საბაკალვრო ნაშრომის ფარგლებში ჩავატარე როგორც გამოკითხვა, ისე ინტერვიუები, რათა უკეთ გამომეკვლია ახალგაზრდების გავლენის ხარისხი თანამედროვე დემოკრატიის მშენებლობაზე საქართველოში, ასევე მათი დამოკიდებულებები და შეხედულებები აღნიშნული თემის მიმართ. ასაკობრივი სეგმენტი გათვლილი იყო 17-დან 30 წლის ჩათვლით. გამოკითხვაში სულ 100-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და შედეგებიც შესაბამისი პროცენტულობით გადანაწილდა, ხოლო ინტერვიუ 12 ახალგაზრდასთან ჩატარდა.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, გამოკითხვა ჩატარდა ონლაინ და რესპოდენტთა ანონიმურობა დაცული იყო. თავის მხრივ, ის შედგებოდა 12 დახურული კითვისგან, საიდანაც ზოგიერთ კითხვაზე მხოლოდ ერთი, ხოლო ზოგიერთზე რამდენიმე პასუხის მონიშვნა იყო შესაძლებელი.

ასაკობრივი განაწილების მიხედვით, კვლევაში ჭარბობდა 19-21 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი, ხოლო მთლიანობაში გამოკითხულთა 69% მდედრობით სქესს მიეკუთვნება. წლოვანების გათვალისწინებით ასევე დადგინდა მათი სტატუსი და გამოკითხვაში აქტიური გახლდათ უნივერსიტეტის სტუდენტები.

• ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობის ფორმები:

კვლევის კონკრეტული კითხვის მიხედვით, რომლის მიზანიც იყო გაეგო, თუ რა ფორმებს იყენებდა ახალგაზრდული სეგმენტი თავისი პოლიტიკური აზრის, შეხედულებისა თუ ნების გამოსახატად, დადგინდა, რომ ყველაზე ხშირად ხალხი მონაწილეობს არჩევნებში, შემდეგ კი თანმიმდევრული პროცენტულობით განაწილდა სოციალური მედიის საშუალებით გამოხმაურება (პოსტები, კომენტარები, ჰეშთეგები და სხვ.), პეტიციების ხელმოწერა, მონაწილეობა ქუჩის აქციებში/პერფორმანსებში,

ახალგაზრდულ მოძრაობებში გაწევრიანება, პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა ან წევრობა და სხვა.

დიაგრამა #1 პოლიტიკური აზრის გამოხატვის ფორმები



ავტორი: თამარ უძილაური

დიაგრამის შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლაგაზრდების უმეტესობა კვლავ ტრადიციულ ფორმებს ანიჭებს უპირატესობას და პოლიტიკური აზრის გამოსახატად ყველაზე ხხშირად არჩევნებში მონაწილეობს.

გამოკითხულთა დიდმა რაოდენობამ (62%) აჩვენა, რომ მათთვის პოლიტიკური ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს, რა თქმა უნდა, აჩვენებს ცნობიერების მაღალ დონეს და მათი დამოკიდებულების სერიოზულობას უსვამს ხაზს, თუმცაღა, ის ყოველთვის არ აისახება ქმედებაში.

- **პირადი ჩართულობის მნიშვნელობა:**

კითხვაზე : „შენთვის რამდენად მნიშნელოვანია პირადი პოლიტიკური ჩართულობა“ გამოკითხვამ მეტ-ნაკლებად მოსალოდნელი და ლოგიკური შედეგი

აჩვენა. რესპოდენტთა უმეტესობამ (62%) აჩვენა, რომ მათთვის ზემოთ აღნიშნული აქტივობა ძალიან მნიშვნელოვანია, მხოლოდ მცირე ნაწილმა მიუთითა, რომ ეს მათთვის უინტერესოა.

მოცემულ ეტაპზე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ახალგაზრდები აღიარებენ პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობას, თუმცა, ხშირ შემთხვევაში მათი რეალური ქმედებები შეზღუდულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: უნდობლობა, ინტერესთა შეუსაბამობა, შესაძლებლობების ნაკლებობა და სხვა.

- **გავლენის განცდა და ციფრული აქტივიზმი:**

კვლევის ფარგლებში დასმულ კითხვაზე „ გრძნობ თუ არა, რომ შენს მონაწილეობას შეუძლია რეალური ცვლილების მოტანა?“ უმეტესობამ დადებითი პასუხი დააფიქსირა. შედეგის მიხედვით თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალგაზრდა თაობაში არსებობს რწმენა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ. ისინი ფიქრობენ, რომ თავდაუზოგავი შრომით და მუდმივად აქტიურ ფაზაში ყოფნით შესაძლებელია, რომ მოახდინონ მნიშვნელოვანი ცვლილებები პოლიტიკურ ასპარეზზე. ამავდროულად კითხვაზე: „გაქვს თუ არა მონაწილეობა მიღებული ონლაინ კამპანიებში ან ციფრულ აქტივიზმში?"- პასუხები სამ ჯგუფად განაწილდა: პირველმა ნაწილმა დააფიქსირა, რომ აქტიურად არიან ჩართულნი, მეორე ნაწილი - იშვიათად, ხოლო დანარჩენმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათი აქტიურობა მხოლოდ თვალყურის დევნით შემოიფარგლება.

ცხადია, რომ ონლაინ პლატფორმები, როგორიცაა პეტიციები, კამპანიები, ჰეშთეგ-აქტივიზმი და სხვ. თანამედროვე პოლიტიკაში ჩართულობის ახალი და ალტერნატიული გზები გახდნენ. მათი საშუალებით ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება იდენტიფიცირდნენ თანამედროვე პოლიტიკურ გამოწვევებთან და საზოგადოებრივ პრობლემებთან და თავის მხრივ, გამოხატონ საკუთარი პოზიცია ინსტიტუციური ბარიერების გარეშე.

დაიგრამა #2 ონლაინ კამპანიებში და ციფრულ აქტივიზმში აქტიურობა



ავტორი: თამარ უძილაური

•სოციალური მედიის როლი:

სოციალური მედიის გავლენის შეფასების დროს კვლევამ აჩვენა, რომ თითქმის 70% მიიჩნევს, რომ მას ძალიან დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივ აზრზე. პასუხებიდან ასევე იკითხება ისიც, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში სოციალური მედია არა მხოლოდ კომუნიკაციის, არამედ პოლიტიკური სარბიელი და მასში მონაწილეობის მთავარი ინსტრუმენტია.

ტრადიციული მედია ახლა უკვე უკანა პლანზე იწევს და სოციალურ ქსელში მიმდინარე დისკუსიები, აზრის დაფიქსირება, სოლიდარობის ღია გამოხატვა და სხვ. მეტად აქტუალური ხდება და მძლავრ ზეგავლენას ახდენს.

•ინსტიტუტების რეაგირება და ნდობა:

მომდევნო შეკითხვა უკავშირდება საკითხს, თუ რა კოეფიცინეტით ფასდება ახალგაზრდებში ინსტიტუების მხრიდან რეგირების ხარისხი და როგორია მათ მიმართ ნდობა. შესაბამისად პასუხი კითხვაზე: "გიგრძვნია თუ არა, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები რეაგირებენ ახალგაზრდების ონლაინ აქტივობებზე?" შეიძლენა შეფასდეს, როგორც მეტ-ნაკლებად დადებითი, რადგან მხოლოდ 32%-მა აღნიშნა, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები ნამდვილად რეაგირებენ ახალგაზრდების ონლაინ აქტივობებზე, 37% ფიქრობს რომ ისინი „ზოგჯერ რეაგირებენ“, 25%-ის მიხედვით ისინი „იშვიათად რეგირებენ“, ხოლო დარჩენილი 6%-ის აზრით მათ საერთოდ არ აქვთ რეაქცია აღნიშნულ თემაზე.

ეს ლოგიკურად მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს მნიშვნელოვანი დიაპაზონი ჩართულობასა და ინსტიტუციურ რეაგირებს შორის. მართალია ახალგაზრდები მონაწილებას კვლავ იღებენ მსგავსი ტიპის აქტივობებში, თუმცა ისინი ყოველთვის არ გრძნობენ, რომ მათი ხმა და დამოკიდებულებები ასახული იქნება გარკვეულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში. ეს კი, თავის მხრივ, ამცირებს ნდობის ხარისხს სახელმწიფოსა და ახალგარზდობას შორის.

- **დემოკრატიისადმი დაკმაყოფილება:**

გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი (46%) ფიქრობს, რომ დღეს დემოკრატიული მმართველობა საერთოდ ვერ აკმაყოფილებს ახალგაზრდების მოთხოვნებს და საჭიროებებს. მხოლოდ მცირე ნაწილმა უპასუხა, რომ მოცემული მმართველობა სრულიად შეესაბამება მათ მოლოდინებს.

ვფიქრობ მოცემული შედეგი იმ სტანდარტებისთვის საგრძნობლად შეუსაბამოა, რასაც ჩვენ ევროპულს ვუწოდებთ და რომლის დამკვიდრებისკენაც აქტიურად მიისწრაფვის ახალგაზრდა თაობა. დემოკრატია, როგორც მმართველობის ფორმა, საქართველოში ახალგაზრდების თვალში ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია და საჭიროებს უკეთეს ადაპტაციას მათი სჭიროებების მიმართ.

- **დემოკრატიის მომავალი და ახალგაზრდების როლი:**

კითხვაზე: „როგორ იმოქმედებს ახალგაზრდების გაზრდილი ჩართულობა დემოკრატიის მომავალზე?“ თითქმის ერთხმად უპასუხეს: „გააუმჯობესებს დემოკრატიულ სისტემას“. ამასთანავე კითხვას: „ეთანხმები თუ არა მტკიცებას, რომ ახალგაზრდების ჩართულობა გავლენას ახდენს საჯარო პოლიტიკის პრიორიტეტებზე?“ აბსოლუტურმა უმრავლესობამ უპასუხა: „სრულიად ვეთანხმები“.

პასუხებიდან იკითხება, რომ ახლაგაზრდებს აქვთ რესურსი და საკუთარი თავის ნდობა, ფიქრობენ რომ შეუძლიათ შეცვალონ, გარდასხვა მოახდინონ იმ სისტემის, რომელიც მათთვის მიუღებელი იქნება და რაც ყველაზე მთავარია ისინი ფიქრობენ, რომ მათი ჩართულობა არა თუ სიმბოლური, არამედ გარდამტეხია.

რაოდენობრივ კვლევასთან ერთად, ჩატარდა ხარისხობრივი კვლევაც – ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების საშუალებით, რათა უკეთ შემესწავლა ახალგაზრდების დამოკიდებულება დემოკრატიულ პროცესებსა და პოლიტიკურ მონაწილეობაზე.

ინტერვიუები ჩატარდა სულ თორმეტ რესპონდენტთან. მონაწილეთა შერჩევა მიზნობრივი მეთოდით მოხდა, რათა განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური და საგანმანათლებლო ფონის მქონე ახალგაზრდების პოზიციები წარმოჩენილიყო. საუბრები ჩატარდა როგორც ონლაინ, ისე პირისპირ რეჟიმში, თითოეული ინტერვიუ საშუალოდ 20–25 წუთს გრძელდებოდა. კითხვები შეეხებოდა მათ პოლიტიკურ გამოცდილებას, მოსაზრებებს, ინტერესს და ჩართულობის გზებს.

ინტერვიუების ანალიზმა მნიშვნელოვნად გააღრმავა ონლაინ გამოკითხვის შედეგების შინაარსი. რესპონდენტები გამოხატავდნენ პოლიტიკის მიმართ დიდ ინტერესს და იმეორებდნენ, რომ დემოკრატიული პროცესები სწორედ მათ აქტიურობაზეა დამოკიდებული. ყველა რესპონდენტმა განსაკუთრებით გამოყო ციფრული აქტივიზმის როლი – აქცენტი კეთდებოდა სოციალურ ქსელებში გამართული კამპანიების, პეტიციების, დისკუსიების ძალასა და გავრცელების სისწრაფეზე. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:

„დღეს ჩემს პოლიტიკურ პოზიციას ხშირად სწორედ პოსტის სახით ვაფიქსირებ. მგონია, რომ ასე უფრო სწრაფად იღებ გამოხმაურებას, ვიდრე ქუჩაში ყვირილით."

ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი მზად არის ჩაერთოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არა მხოლოდ არჩევნების პერიოდში, არამედ ყოველდღიური აქტივობების მეშვეობითაც. თუმცა, როგორც რაოდენობრივმა კვლევამ, ისე ინტერვიუებმაც ცხადყო საერთო უკმაყოფილება — ინსტიტუციური გამოხმაურების ნაკლებობა ახალგაზრდებს ხშირად დემოტივაციას აძლევს. რამდენიმე რესპონდენტმა პირდაპირ დააფიქსირა განცდა, რომ მათი ძალისხმევა უმნიშვნელოდ მიიჩნევა. ერთ-ერთმა განაცხადა:

„ყოველ ჯერზე იმედი მაქვს, რომ შევძლებ მოვახდინო ცვლილება და ჩემს მცდელობას აზრი ექნება, მაგრამ ბოლოს მაინც ისეთი შეგრძნება მრჩება, თითქოს არაფერი შეიცვალა."

ინტერვიუებში ასევე გაჟღერდა რესურსებზე არათანაბარი წვდომის პრობლემა, რაც გავლენას ახდენს აქტიურობის ხარისხზე. განსაკუთრებით ხაზგასმული იყო რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ბარიერები როგორც ინფორმაციის მიღების, ისე ჩართულობის შესაძლებლობებთან მიმართებით.

ამგვარად, ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები მთლიანად ადასტურებს რაოდენობრივი კვლევის ტენდენციებს. ორივე წყარო აჩვენებს, რომ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები იზიარებენ მაღალი დემოკრატიული ცნობიერების სტანდარტს. თუმცა, სისტემური პასუხის უქონლობა, რესურსების არათანაბარი განაწილება და ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობა კვლავ რჩება იმ დაბრკოლებებად, რომელთა გადალახვაც აუცილებელია დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის.

კვლევის დასკვნა

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები საკმაოდ მაღალი პოლიტიკური ცნობიერებითა და თვითშეგნებით გამოირჩევიან. ისინი

საკუთარი პოზიციის გამოსახატად მრავალფეროვან გზებს იყენებენ და არ გვევლინებიან მხოლოდ ერთი კონკრეტული სფეროსადმი მიკუთვნებეულობით. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის მიღება, განსაკუთრებით კი ციფრულ სივრცეში.

დადებითია ტენდენცია, რომ ახალგაზრდების უმეტესობა იაზრებს საკუთარ როლსა და მოქალაქეობრივ ვალდებულებას და მზადაა გამოიყენოს ყველანაირი საშუალება პოლიტიკური აქტიურობისათვის, დაწყებული არჩევნებში მონაწილეობით, დამთავრებული ელექტრონული აქტივიზმით. მათ მოწოდებაში იგრძნობა სურვილი, რომ პოზიტიური ცვლილებები მოახდინონ საზოგადოებაში და არა მარტო.

მიუხედავად დადებითი კომპონენტისა, კვლევამ ასევე გამოკვეთა საკმაოდ სერიოზული გამოწვევები. ახალგაზრდები ხშირად ნამდვილად არ თვლიან, რომ მათი ხმა აღიქმება ინსტიტუციურად, ან მათი ჩართულობა რეალურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ჩანს. ხელისუფლების მხრიდან ამგვარი დამოკიდებულება და რეაგირების ნაკლებობა აჩენს უნდობლობას, რაც, თავის მხრივ, აფერხებს სისტემურ თანამშრომლობას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ახალგაზრდას არ აქვს თანაბარი წვდომა რესურსებზე, რაც დამატებით ბარიერებს ქმნის.

გამოწვევების გადაჭრის გზებზე ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს. მიუხედავად ახალგაზრდების მზარდი ინტერესისა, ნაწილი კვლავ თვლის, რომ მათ ხმას პოლიტიკაზე გავლენა არ აქვს, ამიტომ ნაკლებად ინტერესდება, ან, უარეს შემთხვევაში საერთოდ არ ერთვება მასში. ეს განსაკუთრებით სარისკოა დემოკრატიის განვითარებაში. ვფიქრობ, მოცემული პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია გაძლიერდეს პოლიტიკური განათლების დონე სკოლებსა და უნივერსიტეტებში. პირველ რიგში, ადამიანის გონებაში უნდა მოხდეს პოლიტიკური ცნიბიერების ამაღლება, რათა შემდგომში რაციონალურად გამოიყენოს განათლება. ამასთან ერთად კი მნიშვნელოვანია პასუხი ინსტიტუციების მხრიდანაც, რომელთა ხელშიც ახალგაზრდების თავდაჯერებულობის ხარისხია. მათ უნდა შეძლონ და რეალურად აფიქრებინონ ახალგაზრდებს, რომ მათ ხმას აქვს წონა და ძალა.

ამრიგად, თუ სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორი მიზნად დაისახავენ ახალგაზრდების აქტიური ჩართულობის მხარდაჭერას, მათი ხედვისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ეს არა მხოლოდ გააძლიერებს ქართულ დემოკრატიულ სისტემას, არამედ განამტკიცებს ნდობას, სამოქალაქო აქტიურობას და სოციალური პასუხისმგელობის შეგრძნებას. დემოკრატიის მომავალი საქართველოში, სწორედ ამ თაობის წვლილზეა დამოკიდებული, თაობაზე, რომელიც ახლა ქმნის ცვლილებების ტალღას, თუმცა ჯერ კიდევ ელის სრულფასოვან პასუხს პოლიტიკური სისტემისგან.

თავი.3 ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების პერსპექტივები საქართველოში

3.1 . ძირითადი მიგნებები და მათი პოლიტიკური მნიშვნელობა

როდესაც ვსაუბრობთ იმ პერსპექტივებზე, რაც ახალგაზრდების პოლიტიკურ მონაწილეობას გააძლიერებს, აუცილებელია წინარე პირობებიც გავითვალისწინოთ. როგორც ჩემმა კვლევებმა აჩვენა, მოსახლეობის მოცემულ სეგმენტს ინსტიტუციური მხარდაჭერა აკლია, რაც თავის მხრივ უკან სწევს მოტივაციას და პოტენციალსაც, მათ შორის. რეალურად, პოლიტიკურ ინსტიტუტებს შეუძლიათ არსებული პრობლემის მოგვარება და ხარისხის გაუმჯობესება. მაღალი თვითშეგნების მქონე მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი პოზიტიური სურათი, რაც მათ მიერ პოლიტიკაში მაღალი ჩართულობით გამოიხატება, სწორედ ხელსუფლების უდიერი დამოკიდებულებით იცვლება და ქმნის უნდობლობის და უსუსურობის ფონს. ამგვარად, სახელმწიფოსა და პოლიტიკურ აქტორებს აქვთ პასუხისმგებლობა, გაითვალისწინონ ახალგაზრდების მზაობა და ჩართულობის სურვილი. ამისათვის საჭიროა ისეთი მექანიზმების შექმნა, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ მათი მოსაზრებების ასახვას პოლიტიკურ პროცესებში. ეს, თავის მხრივ, მოიცავს:

- ახალგაზრდული საბჭოების ფორმირებას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და მათი იდეების მხარდაჭერას;
- ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და ახალგაზრდულ პოლიტიკურ ფრთასთან აქტიურ, რეგულარულ კონსულტაციებს;
- სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დემოკრატიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და სისტემურ განვითარებას.

აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ თუ სახელმწიფოს რეალურად სურს ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა, ის ვეღარ უგულებელყოფს მათ პოზიციებსა თუ მოთხოვნებს. ეს კი, თავისთავად, ახალგაზრდებსა და ხელისუფლებას შორის ნდობის აღდგენის საფუძველი იქნება.

ახალგაზრდებისთვის გრძელვადიანი ჩართულობის შესაძლებლობების შექმნა აძლიერებს დემოკრატიულ კულტურას და ზრდის ნდობას ინსტიტუტების მიმართ. მაგალითად, საქართველოში ახალგაზრდების მიერ წამოწყებული სამოქალაქო აქტივობები არაერთხელ იქცა პოლიტიკური ცვლილებების სტიმულად (Turmanidze, 2024). შესაბამისად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საჭიროა სისტემური მიდგომა, რომელიც მოიცავს კონსულტაციურ ფორმებს, ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოებსა და მონაწილეობითი მმართველობის მექანიზმებს.

3.2 ინსტიტუციური აქტორების როლი ახალგაზრდულ ჩართულობაში

განათლების სისტემა.

განათლების სისტემა ერთ-ერთი მთავარი და ფუნდამენტური აქტორია ახალგაზრდებში დემოკრატიული ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად. როგორც Youth Study Georgia-ს (2023) კვლევაშია აღნიშნული, ახალგაზრდების დიდი ნაწილი თვლის, რომ მათ არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა პოლიტიკურ პროცესებზე და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობისთვის საჭირო უნარებზე. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ პოლიტიკური მონაწილეობის დონე მნიშვნელოვნად იზრდება იმ ახალგაზრდებში, რომლებიც იღებენ სამოქალაქო განათლებაზე დაფუძნებულ სასწავლო გამოცდილებას

(kandelaki, 2024). ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლებსა და უნივერსიტეტებში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების გაძლიერება აუცილებელია.

მედია და სოციალური მედია.

თანამედროვე საქართველოში მედია მნიშვნელოვან, დამხმარე პლატფორმად იქცა ახალგაზრდებისთვის პოლიტიკური ნების გამოხატვისა და ინფორმაციის მიღებისთვის. განსაკუთრებით იზრდება ციფრული მედიის როლი — ახალგაზრდები აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს პოლიტიკურ დისკუსიებში ჩასართავად და პოზიციის გასაჟღერებლად (Barati, 2023). თუმცა, ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ ტრადიციულ მედიას ნაკლებად აქვს შინაარსობრივი და ფორმალური მიდგომები, რომლებიც მიმართულია სწორედ ახალგაზრდების ინფორმირებაზე (Friedrich-Ebert-Stiftung, 2023). შედეგად, იზრდება რისკი როგორც დეზინფორმაციისა, ისე ზედაპირული წარმოდგენების ჩამოყალიბების.

პოლიტიკური პარტიები.

კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები იშვიათად უწყობენ ხელს ახალგაზრდების რეალურ ჩართვას პოლიტიკური პროცესების უშუალოდ დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე. პარტიული ახალგაზრდული ორგანიზაციები ხშირად ფორმალურ ფუნქციას ასრულებენ და მათი როლი მხოლოდ საარჩევნო პერიოდებში აქტიურდება, იქამდე კი უბრალოდ ფასადურია (Gelkhauri, 2021). შედეგად, ახალგაზრდები თავს უფუნქციოდ გრძნობენ და პოლიტიკური ნიჰილიზმის ტენდენცია იკვეთება (Turmanidze, 2024). ამ პრობლემის გადასაჭრელად პარტიებმა უნდა შეიმუშაონ გრძელვადიანი ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიები, რომლებიც გათვლილი იქნება მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე.

3.3 საერთაშორისო გამოცდილება: რას ვსწავლობთ სხვა ქვეყნებისგან?

დასავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის რამდენიმე ქვეყანა მაგალითის სახით წარმოაჩენს, თუ როგორ შეიძლება სისტემურად და ინტეგრირებულად წარიმართოს ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობა:

ნორვეგია ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ ქვეყანად ახალგაზრდების დემოკრატიულ პროცესებში ჩართვის თვალსაზრისით. იქ მოქმედებს Lowering the Voting Age პროგრამა, რომლის ფარგლებში ახალგაზრდებს საშუალებას აძლევენ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ არჩევნებში უკვე 16 წლიდან. კვლევები აჩვენებს, რომ ასეთი მიდგომები შემდგომში ზრდის მონაწილეობის შანსს სრულფასოვან პოლიტიკურ ცხოვრებაში (Bergh, J, 2013). მოცემული ფაქტი კი გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ნორვეგია ახალგაზრდულ ჩართულობას საკმაოდ ადრეული ასაკიდან უწყობს ხელს, რაც პოლიტიკურ ლადშაფტს პოზიტიურად ავითარებს.

ესტონეთში, სახელმწიფოს მიზნობრივი პოლიტიკის შედეგად, ახალგაზრდები ჩართულნი არიან პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში როგორც მრჩეველთა საბჭოების, ისე ონლაინ მონაწილეობის მექანიზმების მეშვეობით. ესტონური ახალგაზრდული საბჭოების სისტემა აქტიურად მონაწილეობს განათლების, კლიმატის და რეგიონული განვითარების პოლიტიკებში, რაც აძლიერებს ახალგაზრდების ნდობას და აღქმას, რომ მათი ხმა რეალურად ისმის (Suurvali, 2020).

საქართველოსთვის მსგავს კონტექსტში ამ გამოცდილებების გათვალისწინება შეიძლება დადებითად აისახოს პოლიტიკის ლოკალურ ფორმირებაზე — განსაკუთრებით ახალგაზრდული საბჭოების გაძლიერებისა და არჩევნებში მონაწილეობის ასაკის განხილვის მიმართულებით. ევროპული ქვეყნების მაგალითის გათვალისწინება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისაკენ.

3.4 სტრატეგიები ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის გასაძლიერებლად

ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის გასაძლიერებლად მოძიებული მასალისა თუ სხვა ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით შესაძლოა დაისახოს გარკვეული სტრატეგიები, რომლის მიხედვითაც ეს კონკრეტული საკითხი განვითარების ეტაპებს გაივლის:

1.**დამატებითი (სამოქალაქო) განათლება:**

მსოფლიომ აჩვენა, რომ participatory budgeting in schools და სამოქალაქო განათლება ზრდის ახალგაზრდებში გადაწყვეტილების მიღების უნარს, თანადგომასა და პასუხისმგებლობას (Bartlett,T., & Schugurensky, D, 2024). მოსწავლეები პროექტების განხილვასა და მიღებულ გადაწყვეტილებებაზე პასუხისმგებლობით ფიქრობენ და ყურადღებით აკვირდებიან დეტალებს.

2. **ახალგაზრდული საბჭოები**

"Shifting the power" მიდგომა ყველაზე ძლიერია ქვეყანაში, სადაც ახალგაზრდები რეალურად არიან გადაწყვეტილების მიღებაში ჩართული — მაგალითად, ფილიპინებში „Sangguniang Kabataan"–ს ტრანსფორმაციით უზრუნველყოფს ხელისუფლება მათ აქტიურობას. ასევე აუცილებელია მთავრობამ ახალგაზრდებს მანდატი, რესურსი და ავტონომია მისცეს იმ დოზით, რაც საჭიროა მათი პოლიტიკური განვითარებისა და სამოქალაქო აქტიურობისათვის (European Democracy Hub, 2024).

3. ონლაინ პლატფორმები და ელექტრონული მმართველობა

თანამედროვე ტექნოლოგიებმა შექმნა ახალი შესაძლებლობები ახალგაზრდების ჩასართავად გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. თუმცა, მხოლოდ ინფორმაციის გაზიარება უკვე საკმარისი აღარ არის – რეალური ღირებულება იქმნება მაშინ, როცა ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავიანთი აზრი და იდეები სახელმწიფომ მოისმინოს და გაითვალისწინოს. ამის მაგალითია ისეთი პლატფორმები, სადაც შესაძლებელია დისკუსია, იდეების ერთობლივი ფორმირება და რეალურ პოლიტიკაში მათი გამოყენება (scholl, 2016). ამის საშუალებით მათი დაუღალავი შრომა უნდა იყოს ხელისუფლების ინსტიტუტებამდე მიღწეული და მათ მიერ იდეები განხილული. თუმცა მხოლოდ განხილვა არ იქნება ეფექტური და ახალგაზრობის ნდობის ფაქტორი არ იქნება გამყარებული სახელმწიფოს მხრიდან უკუკავშირის გარეშე.

4. მონაწილეობითი ბიუჯეტირება

სხვადასხვა ქვეყანაში უკვე არსებობს წარმატებული პრაქტიკა, რის მიხედვითაც ახალგაზრდები მონაწილეობენ ბიუჯეტის დაგეგმვასა და გადანაწილებაში. მაგალითად, ბოსტონის პროგრამა „*Youth Lead the Change*„ და პორტუგალიის ქალაქ კაშკაიშის (*Cascais*) გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთ პროექტებში ჩართული ახალგაზრდები მეტად ივითარებენ პასუხისმგებლობას, საჯარო ინტერესების დაცვას და ზრდიან ნდობას სახელმწიფოს მიმართ (Boston.gov., 2025).

5. თანამშრომლობა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან

საქართველოში უკვე არსებობს აქტიური ახალგაზრდული ორგანიზაციები და საბჭოები, რომლებიც მონაწილეობენ სხვადასხვა დემოკრატიულ პროცესებში. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ რეგულარულად ითანამშრომლოს ამ ჯგუფებთან – გაუზიაროს მათ ინფორმაცია, მოისმინოს მათი პოზიცია და ჩართოს ისინი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ევროპის საბჭოს ინიციატივები, როგორიცაა ახალგაზრდული ბანაკები და მონაწილეობითი დემოკრატიის პროექტები, ამას უკვე წარმატებით აკეთებს ადგილობრივ დონეზე (Council of Europe, 2023).

ზემოთ მოცემულ სტრატეგიებზე დაყრდნობით თავისუფლად შეიძლება ჩამოყალიბდეს საქართველოზე მორგებული რეკომენდაციები ამ კუთხით, შესაბამისად:

სკოლებში მასწავლებლების აქტიური გადამზადებით, ტრენინგებით და სამოქალაქო განათლების დონის ამაღლების ხარჯზე შეიძლება დაინერგოს ბიუჯეტის დაგეგმვაში ახალგაზრდების ჩართულობის პრაქტიკა. მოცემული ასაკობრივი კატეგორიის მხრიდან დაინტერესებულობის ხარისხი უზრუნველყოფს პრაქტიკის მომავალ წარმატებას და სხვა მიმართულებით განვითარებასაც. ამასთანავე დიდ მასშტაბებზე ახალგაზრდული საკრებულოების შექმნით ხელი შეეწყობა დემოკრატიულ ჩართულობას. საჭიროა მოცემული საკრებულოებისთვის უფლებამოსილებისა და წლიური ბიუჯეტის დამტკიცება, შემდგომში კი საგანამანათლებლო ტრენინგების უზრუნველყოფა.

ახალგაზრდების დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობისათვის საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია ისინი ჩართოს ადგილობრივ და სოციალურ პროექტებში. ეს პრაქტიკა აამაღლებს ცნობიერებას და, რა თქმა უნდა, ჩართულობის და ზემოქმედების ხარისხსაც.

3.5 ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის გავლენა საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე

ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა თითქმის ყოველთვის განიხილება შიდა, ნაციონალური დონეზე, თუმცა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში მნიშვნელოვანია აღნიშნვა, რომ ახალგაზრდების მონაწილეობა ასევე შეიძლება მნიშვნელოვან როლს ასრულებდეს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. ვფიქრობ, შიდა ჩართულობასთან ერთად აუცილებლად უნდა განვიხილოთ საერთაშორისო დონის ფაქტორიც. როგორც ვიცით, თანამედროვე გამოწვევები, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, გლობალური დათბობის პოლიტიკა, საერთაშორისო კრიზისები, უდიერ პოლიტიკურ დაპირისპირებაში მონაწილეობა თუ სხვა საკითხი მოითხოვს ახალი ხედვებისა და პოლიტიკათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერებას, სადაც ახალგაზრდები შეიძლება მნიშვნელოვნად ჩაერთონ და თავისი წვლილი შეიტანონ.

ახალგაზრდების საგარეო პოლიტიკაში მონაწილეობის აუცილებლობა

ახალგაზრდების მიერ პოლიტიკურ პროცესებში აქტიური ჩართულობა აუცილებელია არა მხოლოდ ქვეყნის შიდა პოლიტიკის განვითარებისთვის, არამედ საგარეო პოლიტიკის მიმართულების განსაზღვრისთვისაც. როდესაც ახალგაზრდები პირადად ჩართული არიან პოლიტიკური პროცესებში, მათი აქტიური აზრი და ინიციატივები საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებზე, მაგალითად, გარემოსდაცვით, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში, შესაძლოა, რომ უფრო მეტად გახდეს შესაბამისი თანამედროვე გამოწვევებთან.

გარდა ამისა, თანამედროვე ტექნოლოგიებმა, განსაკუთრებით კი სოციალური მედიის პლატფორმებმა, ახალგაზრდა თაობას უკვე მისცა საშუალება, რომ პირდაპირ გაეცნოს გლობალურ საკითხებს და გამოხატოს თავისი აზრი. სოციალური მედიის აქტიური გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ახალგაზრდების შესაძლებლობას, რომ მათ საკუთარი შეხედულებები გახადონ ცნობილი არა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც. ეს, თავის მხრივ, ქმნის ახალ მექანიზმებსა თუ ბერკეტებს, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდებს ექნებათ პირდაპირი გავლენა საერთაშორისო დიპლომატიაზე და სხვა გლობალურ საკითხებზე.

მათი გავლენა მხოლოდ შიდა პოლიტიკურ პროცესებზე კი არ უნდა იყოს მთავარი, არამედ აუცილებელია მათ ინტერესებში არსებული საკითხების ინტეგრირება საერთაშორისო პოლიტიკის დისკურსში. მაგალითად, პანდემიისა და კლიმატის ცვლილების პრობლემების მიმართ ახალგაზრდების მზარდი დაინტერესება იწვევს ცვლილებებს საგარეო პოლიტიკის კურსებში, რომლებიც, თავის მხრივ, მორგებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა გლობალური ჯანდაცვა, გარემოს დაცვა და მსოფლიო ეკონომიკური პარტნიორობის მყარი განვითარება.

სტრატეგიები და ღონისძიებები

ამასთავანე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გაითვალისწინონ ახალგაზრდების მოსაზრებები, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საგარეო პოლიტიკის ფორმირებას. ამგვარად, სასურველია შეიქმნას ისეთი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობას საერთაშორისო საკითხებში. ეს შეიძლება მოიცავდეს ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და გლობალური ახალგაზრდული ფორუმების შექმნას, რომლებიც აქტიურად იქნებიან ჩართულები საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესებში.

საქართველომ, როგორც ევროპული მისწრაფებების მქონე ქვეყანამ, ასევე უნდა განსაზღვროს სტრატეგიები, რომელიც საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს სრულად ჩაერთონ საერთაშორისო პოლიტიკისა და საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად, შეიძლება ახალგაზრდების ჩართულობა როგორც საგარეო

საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებში, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც მათი შეხედულებები და ინიციატივები იქნება მოსმენილი, აღიარებული და გათავისებული.

დასკვნა

საბოლოოდ, კვლევა ემყარება იმ მნიშვნელოვან ჰიპოთეზას, რომ ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკაში არა მხოლოდ დემოკრატიული პროცესის ნაწილია, არამედ მისი განმტკიცებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ფაქტორია. ნაშრომის საწყის ნაწილში ყურადღება გამახვილდა ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობის ცნებაზე, მის თანამედროვე ფორმებზე (როგორიცაა ციფრული აქტივიზმი, სოციალური მედია, ონლაინ კამპანიები) და იმაზე, თუ როგორ განსხვავდება ეს მონაწილეობა ტრადიციული პოლიტიკური გზებისგან.

ჩვენს ქვეყანაში არსებული რეალობის ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს ახალგაზრდა თაობა ხშირად ავლენს მოქალაქეობრივ თვითშეგნებას და სურვილს, იყოს პოლიტიკური პროცესების ნაწილი, თუმცა ამისთვის, საქართველოს პირობებში ნაკლები ინსტიტუციური მხარდაჭერა და რეაგირება ხვდებათ. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგებმაც ცხადყო, რომ ახალგაზრდებს სჯერათ საკუთარი გავლენისა და შესაძლებლობების, ასევე აჩვენებენ მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, თუმცა ინსტიტუციური პასუხის ნაკლებობამ შესაძლოა ნდობის კლებასა და დემოტივაციას შეუწყოს ხელი.

ნაშრომში განხილული თეორიები – განსაკუთრებით პოლიტიკური სოციალიზაციისა და ციფრული აქტივიზმის კონცეფციები – ადასტურებენ იმ დინამიკას, რაც საქართველოში უკვე თვალსაჩინოდ ჩანს. აქტივიზმის ახალი ფორმები (მაგალითად, პეტიციები, ჰეშთეგ კამპანიები, ონლაინ პროტესტები) რეალურად ახდენს გავლენას საზოგადოებრივ პროცესებზე, ვინაიდან ყოველთვის დიდი გამოხმაურებითა და რეაგირებით სარგებლობს და დიდ აუდიტორიაზეა გათვლილი, თუმცა ეს ფორმები ხშირად რჩება ტრადიციული პოლიტიკისგან გაუთვალისწინებელი.

შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დემოკრატიის მომავალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეძლებს სახელმწიფო და პოლიტიკური ინსტიტუტები ახალგაზრდების ჩართულობის ახალ ფორმებზე რეაგირებას და მათთვის სივრცის მიცემას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისტემის მიმართ ლეგიტიმურობის ხარისხი შემცირდება.

ასევე, ახალგაზრდების მონაწილეობა საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში აღარ უნდა განიხილებოდეს როგორც დამატებითი ან მხოლოდ სიმბოლური ელემენტი. გლობალიზაციისა და ციფრული ეპოქის პირობებში მათი შეხედულებები, ინტერესები, იდეები და ღირებულებები სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ისეთი კრიტიკული საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, გლობალური უსაფრთხოება, მიგრაცია და ადამიანის უფლებები.
ახალგაზრდების ჩართულობა ამ სფეროებში ქმნის ახალ დინამიკას, რომელიც აახლებს საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების შინაარსს და ზრდის მათ ლეგიტიმურობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო პარტნიორებისთვის. ამიტომ, დემოკრატიულ პროცესებზე ახალგაზრდების გავლენაზე საუბრისას აუცილებელ ელემენტად უნდა იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო ასპარეზის ფაქტორიც.

გარდა ამისა, ახალგაზრდული ხედვები ხშირად ასახავს პროგრესულ, ინკლუზიურ და მომავალზე ორიენტირებულ პოლიტიკურ დღის წესრიგს, რაც, თავის მხრივ, საგარეო ურთიერთობებში სტაბილურობისა და ღირებულებებზე დაფუძნებული თანამშრომლობის საფუძველია. მათი რეალური მონაწილეობა, როგორც საჯარო დისკურსში, ისე პოლიტიკის ფორმალურ მექანიზმებში, სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, წარადგინოს თავი როგორც თანამედროვე, ღია პროევროპულ და დასავლური ღირებულებების მატარებელ პარტნიორად.

დასასრულს, საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის გასაძლიერებლად აუცილებელია ისეთი სტრატეგიების დანერგვა, როგორიცაა: სამოქალაქო განათლების გაძლიერება, ახალგაზრდული საბჭოების ჩამოყალიბება, სახელმწიფოს მონაწილეობითი ბიუჯეტირება და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ რეალურ დიალოგს ახალგაზრდებთან. მხოლოდ ამ გზით

იქნება შესაძლებელი დემოკრატიის გამყარება, რომლის ცენტრალური, ბირთვული მოთამაშე სწორედ მომავალი თაობაა.

ბიბლიოგრაფია

Barati. (2023).). Casual social media use among the youth: Effects on online and offline political participation . *Barati*.

Bartlett,T., & Schugurensky, D. (2024). *Inclusive civic education and school democracy through participatory budgeting*. Retrieved from https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/17461979231160701

Bennett, W.L & Segerberg, A. (2013). The logic of connective action: Digital media and the personalization of contentious politics. *Information, Communication & Society*, 739-768.

Bergh, J. (2013). Does voting at a younger age have an impact? Young voters in the Norwegian 2011 local elections. *Electoral studies*, 90-100.

Boston.gov. (2025). Youth Lead the Change: Participatory budgeting program in Boston. *Boston.gov*.

Council of Europe. (2023). *How to bring change to the community – Youth Camp promoting youth participation in Georgia.* Retrieved from https://www.coe.int/en/web/participatory-democracy/-/how-to-bring-change-to-the-community-youth-camp-promoting-youth-participation-in-georgia

European Democracy Hub. (2024). *Youth participation strategies for building sustainable democracies*. Retrieved from https://europeandemocracyhub.epd.eu/?s=shifting+the+power

Freedom House. (2018). თავისუფლება ინტერნეტში და ციფრული აქტივიზმი სოციალურ ქსელებში. *Freedom on the Net 2018: Georgia*.

Friedrich-Ebert-Stiftung. (2023). Generation of Independent Georgia – Youth Study 2022/2023. . *Youth Study Georgia*.

Gelkhauri, M. (2021). *Youth organizations of political parties in Georgia: Formal existence and informal influence .* Tbilisi State University.

kandelaki, S. (2024). *The voice of young Georgian voters in politics [Policy brief]*. Retrieved from https://gip.ge/publication-post/the-voice-of-young-georgian-voters-in-politics-expectations-demands-and-political-responses/

scholl, H. J. (2016). *Electronic government and electronic participation.* IFIP EGOV and EPart proceedings.

sloam, J. (2014). Youth political participation in Europe: The political and civic engagement of young people. *journal of Youth Studies*, 187-202.

Suurvali, H. (2020). *Youth participation in Estonia: Structures, opportunities and developments. .* Estonian National Youth Council.

Turmanidze, G. (2024). *Are younger people becoming more active citizens? .* SSOAR.

აი ფაქტი. (2024). უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტი. *აი ფაქტი.*

მელიქიძე, ლ. (2012). *ახალგაზრდული მოძრაობების გაძლიერება საქართველოში: პოლიტიკური აქტივიზმი და სოციალური სამართლიანობა.* თბილისი: საქართველოს პოლიტიკა.

ხუროშვილი, ზ. (2020). *ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობა და მისი დაბრკოლებები საქართველოში. .* თბილისი: პოლიტიკური მეცნიერება და პრაქტიკა.